

# საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ე ლ ო ო რ ი კ ო რ ი პ ო რ ტ ი ე მ ი ს ხ ა გ რ თ ე ო რ გ ა ნ ო .

### გ რ თ ა ლ ი ო ვ ა .

ქვეყნად ვერ გაამართლა მოლოდინი. გერმანიის ლიგაში დაშვება გადადებული იქნა და თვით არაჩვეულებრივი ყრისლობა, რომელიც მხოლოდ ამ მიზნით იყო მოწვეული, უქმათ ჩაატარდა.

იყო ორი დაბრკოლება: ერთი დიდი, მეორე კი პატარა, და წარმოადგინეს საერთო განცხადება, როცა ლიგამ გადალახა პირველი, ხოლო მეორეზე წაიფარსილა!

დიდი დაბრკოლება მდგომარეობდა იმაში, რომ გერმანიასთან ერთად, რომელსაც წინასწარ ჰქონდა დაპირებული მუდმივი ადგილი ლიგის საბჭოში, მოითხოვეს ამავე ხარისხით იქვე დაშვება პოლონეთში, ისპანიამ, ბრაზილიამ და ჩინეთმა. უნდა ვიცოდეთ, ლიგის აღმასრულებელ ორგანოში ამ ხანად ითვლება 10 წევრი, მათ შორის 4 (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) მუდმივი არიან წარმოდგენილი, მაშინ როდესაც დანარჩენი 6 (ისპანია, ბრაზილია, ურუგვაი, ბელგია, შვეიცია, ჩეხოსლოვაკია) მხოლოდ დროებით, ე. ი. ლიგის ყრისლობა ყოველ წელიწადს ახალს მათ სიას. ამ ცნობიდან ნათელია, რომ საბჭოში მუდმივი წევრებს განეხილათ დიდი სახელმწიფოები, ხოლო პატარაანი—დროებით წევრებს. მეორეს მხრივ, ორი ახალი პრეტენდენტი—პოლონეთი და ჩინეთი სულაც არ იყვნენ იქ წარმოდგენილი.

მით უფრო მწვეველი წარმოადგინეს პოლონეთი, და მას მხარს უჭერდა საფრანგეთი, ხოლო ეწინააღმდეგებოდა გერმანია. უკანასკნელი ამბობდა: ყრისლობა მოგწვევით ჩემი დაშვების მიზნით, განსაღებ ჯერ ლიგისა და მის საბჭოს წევრად და მხოლოდ ამის შემდეგ ვისჯელოთ საბჭოს გაფართოების შესახებო. საფრანგეთი უპასუხებდა: პოლონეთი დიდი ხანია ითხოვს ადგილს საბჭოში და ის ამის დღისთვის, მისი გეოგრაფიული და პოლიტიკური მნიშვნელობის მიხედვით. ინგლისი მოწინააღმდეგელი იყო მართაც ერთი კითხვა გადაეჭრა ლიგას—გერმანიის დაშვება, მაგრამ მისი წარმომადგენელი უფრო შუამავლის როლს თამაშობდა ორ მოპირდაპირე ბანაკ შორის. გამოხატული იქნა კომპრომისი: პოლონეთს ადგილი ექვლევა გერმანიასთან ერთად საბჭოში, მხოლოდ დროებით; სამაგიეროდ შვეიცია და ჩეხოსლოვაკია ამ თავითვე გამოდიან საბჭოდან, მათი მანდატი კი თავიდან შერამდგომილთს.

ამ რიგში უნდა იხილოთ ვალისებრი და მსხვილებით, საქმე მაინც მოგეგვარა. მაგრამ ამ დროს მოულოდნელი ამბავი მოხდა. საბჭოს ახალი წევრი სავალდებულოა ერთხმად იქნას არჩეული, ბრაზილიამ კი წინასწარ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგ მისცემს ხმას გერმანიის დაშვებას! შეიქმნა გამოუვლი მდგომარეობა, კენჭისყრის თავის შეკავებაც ვერ მოახერხებინეს მას.

ასეთ პირობებში სხვა არაფერი დარჩენილია, კითხვის გადადების გარდა. ყრისლობას მოხსენდა კომისიის ერთხმად ახალი, რომ გერმანიის ლიგაში დაშვებას არაფერი უდგას წინ, რის შემდეგ ერთხმად გამოითქვა სურვილი, რომ ეს აქტი შესრულდეს სექტემბრის სესიანზე. საბჭომ მანამდე უნდა განიხილოს როგორც მისი გაფართოების, ისე თვით სტატუსის შეცვლის საკითხი, და ამისათვის მან უნდა დაისწროს, სხვათა შორის, გერმანიისა და პოლონეთის წარმომადგენელი.

ალსანიშნავია ისიც, რომ ლიგის ხელის-მომწერლებმა დეკლარაცია გამოაქვეყნეს ისევე ქვეყნაში, სადაც კატეგორიულად აცხადებენ, რომ გერმანიის ლიგაში შესვლის მოლოდინში, ისინი ერთ გულს იჩენებენ მათ მიერ მიღებულ აქტებისა. შემდეგ ეს ხანი დადასტურეს გერმანიის რეისტრატმა და ინგლისის თემთა პალატამ; რაც შეეხება საფრანგეთს, აქ ხომ არცა როდის ყოფილა რყევა ამ მხრივ.

მასასაღებზე, ერთა ლიგის მტრების სისხარული ფენოკლეა. მართალი იქნა, რომ მარცხის მიხეზი ბრაზილიის ფორმალური ვეტო და არა ლიგის მონაწილეთა უთანხმოება გამოდგა, საყმა ნათლად მოწმობს იმას, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება და ის, რაც ერთა ლიგამ განიცადა, არის (ზარდის კრიზისი), როგორც ამას ესლა ხშირად გაიგონებთ ვეროპოში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლიგაში წარმოდგენილი 50 ნაცია ხმამალა დაღადება ამ სიერთაშორის კერის კიდევ უფრო გასივრებას, არა თუ ჩაქობდას. როგორც ნიშუში ასეთი სურლისკვეთებისა, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ 14 მილიონ ოქროს ფრანკის გადადება ლიგის ყრისლობებისთვის სასახლის ასაგებათ.

არავითვისაა სადაო, რომ ერთა ლიგა ჯერ კიდევ ნორჩია და მისი ავებულება არა ერთ და ორ ნაკლს შეიცავს. აიღეთ, თუ გინდა. საბჭოს სტატუსი, რომლის ძალით მნიშვნელოვანი საკითხები მხოლოდ ერთხმად უნდა გადაიჭრას. საჯარო-უფლებრივი ორგანო და ასეთი წესი მოკლებულია ყოველ ახარს; ასე ვერ იარსებებდა ვერც ერთი პარლამენტი, ვერც ერთი კოლეგია. ერთი დეპუტატის ვეტო, მაგ., კანონის მიუღებლობა დაუშვებელია, ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც გამოიხატება უმრავლესობის უპირატესობაში უმცირესობის პირისპირ.

მაგრამ, როცა ისეთ ორგანიზმთან გვაქვს საქმე, როგორცაა ერთა ლიგა, ასეთი წესი გარდუვალი იყო, პირველ ხანებში მაინც, რატომ? იმიტომ რომ ერთა ლიგა ჯერ კიდევ უფრო მორალურად მოქმედებს თავის წევრებზე, ვინამ ფიზიკურად, მას არც იქვე ძალდატანებითი საშუალებანი. ამიტომ თანხმობა და ერთხმად დაუშვებელია უმთავრესი იარაღია მის ხელში.

ერთა ლიგა დაიბადა მეტად არაჩვეულებრივ პირობებში. მისი სტატუსი დასწერეს, ზავის მეორე დღეს, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა და მიაკერეს ვერსალის ხელშეკრულებას. განა ეს ფაქტი საკმარისი არაა იმის დასამტკიცებლად, რომ ერთა ლიგა უნაკლებად ვერ გამოვიდოდა ასეთი ნათლიები-საგან? ამას ზედ დაერთო პირველი ნათლის—ვილსონის ქვეყნის განხე გადაღობა, მან ვერსალის ზავი უარყო და ხელი დაიბანა ვეროპის საქმეში.

გამარჯვებულ დიდმა სახელმწიფოებმა ისეთი სხე მისცეს

ერთა ლიგას, რომ მას ვერ შესძლებოდა მათი ნების გადალახვა, და ეს კი წარმოადგინა სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის უკანა რიგებში დგომას. მეტსაც ვიტყვი, ლიგაში განვიხილავ წარმომადგენლებს მთავრობანი და არა პარლამენტნი, ასე რომ ის უფრო მოხელეთა და არა თვით ერთა უშუალო და დამოუკიდებელ დელეგატთა კრებულს წარმოადგენს.

ჩვენ არ შეგვიძლია, ვადალოგოთ მისი, სხვა ნაკლებსაც გამოვუდგეთ. მოყვანილიდანაც ნათელია, რომ ერთა ლიგა მართლაც ზრდის ხანაში იმყოფება. მასში შედის სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა, მაგრამ კიდევ დარჩენ მის გარეთ ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა: გერმანია, ჩრდილო ამერიკა, რუსეთი. პირველის შესახებ საკმაოდ ვილაპარაკეთ; მეორე, შეგვიძლია ვითქვათ, დროებითაა განხე, რადგან, სხვა არა იყო რა, ერთხელაც დადგება მომენტი, როცა დემოკრატები შეცვლიან ჩრდილო ამერიკაში რესპუბლიკანელ მთავრობაში, ვილსონი ხომ მათი ლიდერი იყო და ისინი მისი იდეალის ერთგული რჩებიან, მაშასადამე, ლიგისაც, ჯერ რესპუბლიკანელებმაც ვერ შეეკავეს თავი და ლიგის მიერ დაარსებულ პავის საერთაშორისო ტრიბუნალს უერთდებიან; რაც შეეხება რუსეთს, ბოლომდე ვერ შევიძინეთ რაიმე გარდაუვალი, ლიგის კარებზე მიიყვანს მას მთხოვნელად, ჯერ თვით ბოლომდე ვერ მიუღებელი არიან დელეგატები განვიხილოთ ლიგის ტენჯიკურ კონფერენციებზე.

ლიგის გადარჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითველ მის წევრ-სახელმწიფოს დემოკრატიზაციასთან. რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო წყობილება, მაშასადამე, რაც უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებს ღრთე მასები მის სევებელში, მით უფრო ნეტო შენდება, რომ ლიგა იქცევა ნამდვილ რეალურ ძალად, რომლის წინაშე იძულებული იქნებიან ქედი მოიხარონ ცალკე ერებმა და სახელმწიფოებმა. გაიხსენეთ კორფუს დაავება მოსოლინის ჯარების მიერ, სულ ესლახან ბულგარია-საბერძნეთის დატაკება,—ეს იყო სწორედ ლიგა, რომელმაც მოაწესრიგა სხენებული კონფლიქტები.

ლიგის ძირითად დებულებასში თქვენ წაიკითხავთ მე-10 პარაგრაფს, რომელიც ავალებს მონაწილეთ ერთ ფრონტში ჩადენდ და შეეზობოდნ მშვიდობისათვის დამრდევ სახელმწიფოსს, სულ ერთია, ლიგის წევრია თუ არა ის. პატარა ერები სწორედ ამ პარაგრაფის მგარეველობის ქვეშ იმყოფებიან, აქედან მათი მხურვალე ერთხმადელობისადმი, აქედან ის მსხვირბლიც, რომელიც ვალს სოციალისტ საგარეო მინისტრმა: შევეციისა—უნდა, ჩეხოსლოვაკიისა—ბენეშმა.

ის ერებიც, ვისაც უკუღმართმა ბედმა არგუნა სხვის ბატონობის ქვეშ ყოფნა და აქედან უშუალოდ ვერ შესულან ლიგაში, კიდევ უფრო მეტად არიან დაინტერესებული მის ძალა-უფლების გაფართოებაში და პრესტიჟის ამაღლებაში. ასეთ მდგომარეობაშია საქართველოც. მისი საკითხი არა ერთხელ დასმულა ლიგაში, უკანასკნელს თავისი მსჯელობის გამოუტანია მის შესახებ, და ისიც ვიცით, რომ ეს საკითხი დღესაც ლიგისა და საბჭოს წეს-რიგშია. იგი არ მოიხსნება მანამ, სანამ ქართველი ერი განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას მისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

### სინამდვილე და ბოლომდევიკური სინდრე.

ყოველ ტირანიის განსაკუთრებული თვისებაა დღის სინათლის შიში. ნათელი დღე, მზის სხივები მისთვის სიკვდილია. მას მხოლოდ ღამის წყვილადაღი შეუძლია მოქმედება და არსებობა. ამიტომაც როგორც კი ჩაიდგება ძალაუფლება ხელში, გერმეტიკულად ხურავს ქვეყნის კარებს, აქრობს სინათლს და ამ გრეჯობით უჭურბულში თავისუფლად უტარაობს, როგორც თევზი ჭავლიში. ასე იყო მუდამ ისტორიულად, იგივეა დღესაც. ამ მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა არც შინაარსის და არც ფორმის მხრივ კრემლის დიქტატორთა პრაქტიკაში. ჩასცეს თუ არა თებერვლის რევოლუციის ზურგში ლახვარი, მეორე დღესვე მოსპეს სიტყვის და პრესის თავისუფლება; დაეპატრონენ ამ უდიდეს პროგრესის იარაღს და ბეჭედენ რაც უნდათ და როგორც უნდათ. სამწხაროდ, რუსეთის ფართო მასა არც ომინაციების თვითმარცხობების დროს იყო განებებიერული თავისუფალი აზროვნებით. მისთვის პრესის და სიტყვის თავისუფლება კიდევ არ შეადგენდა იმ აუცილებელ მოთხოვნილებას, ურომლისოდ ვერც ერთი განათლებული ხალხი ვერ იარსებებს და ამიტომაც მისთვის მდგომარეობა თითქმის არც შეცვლილა: ცარიზმის ტირანია ლენინ-ტროკის ტირანიამ შესცვალა. მონობაში და უვიცობაში აღზრდილი ხალხი იმავე პირობებში დარჩა. სცენანვე გამოვიდა ახალი პერსონაჟები, ხოლო ცხოვრების დროის შინაარსი იგივეა დაძველებული ტრადიციებით. მართვა-გამგეობის მეთოდით და სახელმწიფოებრივი სისტემით. მაგრამ რა სიმწვაავით უნდა ვგრძნო ქართველ ხალხს დაკარგვა იმ ძვირფასი განძეულობისა, რომელსაც იგი ასე წლებით შეგვიდა და რაც შეადგენს ორგანიულ მის მოთხოვნილებას? განა შეუძლია მას დიდხანს იარსებოს იმ სინანტურის და სიტრუით აღსავსე ჰაობებით, რომელსაც ქვია კომუნისტური პრესა? თუ გნებავთ უმთავრესი ტრადიციია ჩვენი ხალხის სწორედ ამაშია. რომელი ჩვენთაგანი არ გრძნობს პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებს, როცა თვალს გადაავლებს კომუნისტურ გაზეთის ფურცლებს, სადაც თქვენ ვერ ამოიკითხავთ ვერც ერთ სტრიქონს, რომელსაც სინამდვილესთან რაიმე საერთო ქონდეს. წარმოდგენილი მაქვს, თუ რა საშიშროლი მუშაობა სუბიერ ქართველ მკითხველს ტენის, რომ მან ამ სულოვრათ ავადმყოფ ადამიანთა ნაცოდველიდან რიმიდ გაიგოს. ჩვენ აქ აღბათა, ალბათი ვერკვევითო!, გვეერს ერთი ჩვენი კორესპოდენტი საქართველოდან და ეს მუერმეტყველური გადმოცემა შემპარფუნებელ სინამდვილის. მთელი ორი წელიწადი 1922—23 კომუნისტები კებებავდნ მკითხველ საზოგადოებას სენსაციური სმებით კევმანიაში რევოლუციის ტრიუმფალურ მსვლელობისა. აბერლინი აჯანყებულთა ხელ-

ში, ბავარია ცეცხლის ალშია განვეული, საქსონიაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და სხვა ასეთი მოჭორილი და განძრახ მოგონილი რადიკობით საცოდავი საბჭოთა «მოქალაქე» თავბრუდასხმული, გარეტიანებული ურდგებოდა მძიმე ბედს იმ ნუგეშით, რომ ის ქვეყნათ მართო არ არის უბედური, რომ საშინელი სენი მუზობელსაც გადაედო. სინამდვილეში კი კომუნისტურ ხელის ფათურმა და მათმა მუშაობამ პინდენტურგი პრეზიდენტის სავარძელში წამოიჭრა. ესლა თვით კომუნისტებიც ვერ ბედვენ გერმანიის რევოლუციის შესახებ ჩმაგვას. ეს წყარო მათ ამოსწურეს, საქორთა მორიგ მანტაის მოწყობა და ისინიც ვადადიან ერთ ქვეყნიდან მეორეზე, ვეროპის ერთი კუთხიდან მეორეზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთში და მეთადიურათ ტყუილების კამპანია გრძელდება. მათთვის ყოველი საშუალება მისაღებია, თუ კი ეს მიზანს ემსახურება. ჩვეულებრივი სოციალური კონფლიქტი ინგლისში, მალაროების მუშების გაფიცვა, უმუშევართა დემონსტრაცია, ყორსის ნაშთების გადატანა პანთონში სოციალისტების ინიციატივით და ამის ირვლევ მძლავრი დემონსტრაციის მოწყობა, ან ესლახან იგივე სოციალისტების და რადიკალ-სოციალისტების მეოხებით შინაურ პოლიტიკის რამდენიმე პარიზის მეორე სეკტორში ორი კომუნისტური დეპუტატის გაყვანა, ყოველივე ეს ინათლება და სადგება როგორც კომუნისტების უდიდესი გამარჯვება და სოციალურ რევოლუციის დასაწყისი, მიუხედავად იმისა, რომ აქ მათ არც უხნავთ და არც უთესიათ და პირიქით ყოველნაირ სოციალისტურ და დემოკრატიულ მოძრაობას, მის გაღრმავებას, მის ნამდვილ პროგრესულ განხე წარმართავს ხელს აფარებენ და თავიდანვე ასამარებენ. ბოლო ხანებში პოლონეთი გავსდა კომუნისტების მიერ ათვალისწინებულ ობიექტად. თუ გერმანიაში არ მოხდა კომუნისტური რევოლუცია, თუ ინგლისის მუშებმა დაიგვიანეს და საფრანგეთმა იმედი არ გაამართლა, აქ, ავარდება დღეს თუ ხვალ ცეცხლის ალი, რომელიც მთელ სამყაროს მოედება და ჩვენც გვეშველება, გადასირალა ზინოვიევა ლოზუნგი და აწრიპინდენდ მოსკიდული კალმები. მოსკოვში, ხარკოვში, თბილისში ყველაგან ერთი და იგივე ცნობებია მომავალ და აუცილებელ რევოლუციის შესახებ პოლონეთში. მეორე მართალია ეს? ამაში იმდენივე სიმართლერამდენიც წინანდელ სხებში. გაივლის რამოდენიმე თვე და პოლონეთზე სენსაციური სმები შეეყდება და კომუნისტური, ძალზე მოსოლილი, აპარატი კვლავ გამოქმნის ახალ წყაროს თავის სადემოკრატიო კამპანიისათვის. რაც შეეხება პოლონეთს, ამ სტრიქონის ავტორს ქონდა საშუალება ადგილობრივ გაეცნო მისი მდგომარეობა, სახელმწიფოებრივ სხვადასხვა დარგების მუშაობა, მუშათა კლასის და გაღვრობის სულიერი განწყობილება და გადაჭრით შეუძლია სთქვას, რომ კომუნისტები იქ არ აქვთ არავითარი ნიადაგი. მართალია, ეკონომიური და ფინანსიური პირობები ამ ქვეყანაში, ისე როგორც თითქმის ყველაგან, მძიმეა. უზარობამ შესუსტა მრეწველობა, წარმო-შევა უმუშევრობა, გააძვირა ცხოვრება, მაგრამ არც ერთ შეგნებულ პოლონეთის მუშას აზრათაც არ მოდის, რომ კრიზისიდან სხნა კომუნისტში ეძიოს. რუსეთის მაგალითით მას თვალწინ აქვს. ჩვენ გვექონდა შემთხვევანი გამოვსულიყავით მრავალ ორიცოვან მუშათა მიტინგებზე, დავსწრობოდით თვით უმუშევართა კრებებზე, მაგრამ ყველაგან ხიზლით იხსენიებდნ მოსკოვის ტირანებს, რომელთაც მოსპეს და მტვრათ აქციეს, პირველ რიგში სწორედ საქართველოს დემოკრატია და მისი მუშათა კლასი, რაწმასაც კი შესძლებს თავისი ჯარბები სოციალისტური ტერიტორიის დაკავება. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაგალითმა ბევრს აუხილა თვალი და განსაკუთრებით პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის ნამდვილ სახეზე. ამ მხრივ ჩვენი ერის წმინდა უფლებების ფეხქვეშ გათვლვა ძვირად დაუჯდათ კრემლის დიქტატორები. პოლონეთის სოვეტინაცია მხოლოდ წითელი ჯარის საშუალებით შეუძლია მოსკოვს. ამისათვის ამ უკანასკნელს მოკლვე ხელები აქვს. თუ გნებავთ არსად ისე აბუხად არ ყავთ ადგებული ძლევა მოსკოვში წითელი ჯარი, როგორც პოლონეთში. მას იქ დიდ დამსჯელ რაზმს უწოდებენ და არა ჯარს. დამსჯელი რაზმით კი შეუძლიათ სისხლში ჩაახარონ ისეთი პატარა ერის აჯანყება, როგორც ეს მოხდა 1924 წ. ჩვენში, ახალ ქვეყნებს კი ასეთი «ჯარი» ვერ დაიპყრობს და ამიტომაც არის რომ ოფიციალური მოსკოვი, ცირკში კოლმუნის არ იყო, იღრიჭება, როცა მას ორივე ლოყანე სილება აკრავენ. ასეთია მოკლეთ საქმის ვითარება პოლონეთში. ასეთია კომუნისტის პრესტიჟი იქაც და ყველაგან. მე დარწმუნებული ვარ საქართველოში «ალბათობით» მკითხველი მაინც ერკვევა იმ ცრუ სმების კორინტლებში, რომელსაც ყოველდღიურად აყენებს კომუნისტური პრესა. ქართველი ხალხის ღირსეული წარსული და პოლიტიკური შეგნება სრული თავდებია, რომ ჩვენი მკითხველი არ გაუბმება მრავალთ დადგმულ ხაფანგში და გაარჩეს მართლად სიტრუისაგან და სინამდვილეს აღვირ ახსნილ დემავგისაგან.

მ. მამაქაობი.

### ს ნ ე ბ ა

შესახებ ოფიციალურ წარმომადგენლის დანიშვნისა ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ საქართველოს ვრდენულ რესპუბლიკისათვის.


საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს, ნ. ყორდანიას მოუვიდა ცნობა შემდეგ შინაარსისა:

«მე-69 კონგრესი.—პირველი სესსია.  
S. I. Res—70.

«შეერთებულ შტატების სენატში, 11 მარტს 1926 წ., ბნ კოპლენდმა წარადგინა შემდეგი ზოგადი რეზოლუცია, რომელიც ორჯერ იქმნა წაკითხული და გადაეცა საგარეო განწყობილებათა კომისისას.

«ზოგადი რეზოლუცია  
«შესახებ დიპლომატიურ წარმომადგენლის დანიშვნისა საქართველოს ეროვნულ რესპუბლიკისათვის»





1923 წელს, მშენებელ ქალაქს ქუთაისში, ვალია ბახტაძემ შექარა ჩეკისტები, კომსომოლისტები, რუსის წითელი არმიელები და მიაღწა მოწამეთის მონასტერს. ეს იყო მაშინ, როცა ბოლშევიკები საქართველოში ღმერთს უტყუებდნენ. ესლაც კარგად მახვავს იმ მშენებლის ზედხულის დღეები, მე მაშინ ქუთაისში ვიყავი. მენ კი, მკითხველ, წარმოიდგინე მოწამეთის მშენებელი ბუნება და თითონ მონასტერი, მიკრული წყალწითელას კლდეზე, როგორც მერცხლის ბუდე. მაგრამ რას ნიშნავს კარგი ამინდი, ლამაზი ბუნება, საუკეთესო და ისტორია, სარწმუნოება და მამაპაპათა სული, რას ნიშნავს შრომანას, ამ პატარა ყვავილის უცილო და მხიბლავი მშენებელი, თუ ვალია ბახტაძე გადასწყვიტავს—უსუსუთობა სწორედ მის ვედრით ჩაიღინოს. ვალია ბახტაძეს ამ დღეს შეუი ზრახველი ვერ გულში, მან შეამტკრია მონასტრის დაქტილი კარები, დაღწა წმ. დავითის და კონსტანტინეს ათასწლოვანი კუბო და მათი ნეშთი ზევით ამოყარა. საგანგებოდ წაყვანილი ექიმთა კომისიას შეაყენებინა საექსპერტო ოქმი, რომ ჩინჩხები არავითარი ხორცი არ ჰქონდა, არ უტყუებდა მაჯა და საზოგადოდ ცოცხალ ადამიანებს არაფრით არ ჰგავდნენ. შემდეგ, ასო-ასოთ დამტრეული ჩინჩხები დაურთა ჩეკისტებს, კომსომოლისტებს და წითელარმიელებს და ეს ქიდათ რეგულაციურ და დიდად ადამიანური პროცესის ქილაში ჩაატარა. აქ, ერთს მოედანზე, ერთს დიდ და, ამ ხელად პირდათ თითონ, საბოლოოდ დაუმტკიცა თავის თავს რომ ძველი არამც თუ ცოცხლები, არ იყვნენ წმინდანებიც და ამასაც მეტად მარტოვის საშუალებით მილწია. ვალია ბახტაძე ერთს ხელში დავითის ქალა ეპირა, მეორეში კონსტანტინეს, ურახუნებდა მათ ერთმანეთს და მორწმუნე შერცხვენილი და დამცირებული იქნა იმით, რომ როცა დავითის ქალას ურტყამდა კონსტანტინეს—კონსტანტინე არ იძახდა ვის და როცა კონსტანტინეს ქალას ურტყავდა დავითს—დავითი არ იძახდა უს!

მაგრამ ესთქვით ეხლა ორიოდ სიტყვა თვით დავითსა და კონსტანტინესზე, ვიდრე ჩვენს ამბავს გავაგრძელებდეთ. დავითს და კონსტანტინეს ქართული ეკლესიის წმინდანებია და ქართული ისტორია მათ სახელს დიდის პატივის იხსენიებს. ისინი არ იყვნენ წმინდანები სირიის უდაბნოსა, ან სინას მთისა და სიკვილითაც ქრისტიანულს ასეცეხებით და სარწმუნოებრივის შიმშილობით არ მომკვდარა. იყვნენ ქართველები საქართველოდან და არ სტოვოვობდნენ არც მონასტერში, ან გამდგარ სენაკში, როგორც იყო მიღებული ძველ ქრისტიანეთა შორის და პირიქით, სცხოვრობდნენ ხალხში, ამ მშენებელ ქართველი ხალხის და ამ ლამაზ ქართული ბუნების შორის. უნდოდათ მათ წმინდანობა? რასაკვირველია არა! რომელი ძველი ქართველი და ძველი ქრისტიანი ჩაიდენდა ასეთ მდიდურობას, ვინ ცოდვილი გაბედავდა ასეთ მიუჭდომელ პატივზედ ფიქრს! ან უნდადათ მათ არც ნადარევი სიკვილი და ეს ადამიანური სისუსტე დავითი გასაგებია. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ესტოვრების სიამეზი ძველაც იყო მხიბლავი იყენენ, როგორც ჩვენს დღევანდელში.

მაგრამ მოხდა ამ დროს არაბების შემოსევა საქართველოში, როგორც რუს-ბოლშევიკების შემოსევა ჩვენს დროში და დაიპყრეს არაბებმა საქართველო, როგორც დღეს რუსებმა დაიპყრეს იგი. ვერ შეურიგდნენ ამას დავითი და კონსტანტინე, ორი ძმა მხივინი არგვეთდნენ, როგორც ვერ შეირცხვიან დღევანდელი ქართველები უცხო მონობას და დაატყვევეს არაბებმა დავითი და კონსტანტინე, როგორც ატყვევებენ ბოლშევიკები დღევანდელს ქართველებს. მოსთხოვეს არაბებმა დავითსა და კონსტანტინეს დამორჩილება, სარწმუნოების და ეროვნების შეცვლა, როგორც სჩადნის ამის ბოლშევიკები დღეს და არ დამორჩილდნენ დავითი და კონსტანტინე და არ გამოიცვალეს თავისი რწმენა, როგორც არ სჩადის ამას ბევრი ქართველი დღესაც. მაშინ არაბებმა აწამეს დავითი და კონსტანტინე და მერე მოკლეს, როგორც აწამებენ და ხოცავენ ბოლშევიკები დღევანდელ ქართველებს და მათი გვაგამები ისევე დამალეს, როგორც მალავენ ბოლშევიკები იმ ქართველების გვაგამებს, რომლებსაც ისინი ხვრეტავენ.

მაგრამ საბოლოოდ ამ ქვეყნად არაფერია და ბოლო მოელა არაბების ბატონობასაც საქართველოში, როგორც მოელდა ბოლო ბოლშევიკების ბატონობას დღესაც. მხოლოდ მაშინ

იზოგვის ქართველებმა თავისი გმირების ცხედრები. ქართველებმა ილოცეს მათ ცხედრებთან, დაფლეს იმ ადგილას, რომელსაც ხალხმა შემდეგ «მოწამეთა» დაარქვა. და ყველ წელიწადს იურიდნენ თავს ამ საფლავზე—მოსაგონებლად არაბების გარეკისა საქართველოდან და დავითისა და კონსტანტინეს გმირობას.

მე არ ჩამიდენია იოტის ოდენა შეცდომა არა თუ ამ ისტორიულ ამბის გადმოცემაში, არამედ იმ შედარებაშიც, რომელიც მე ვაწარმავ ჩავიდინე. ან მთელი ისტორია დავითისა და კონსტანტინეს უკვამლონად წმინდანობის, ისტორია მართალი და მსგავსი ჩვენი დღეების ამბისა..

მერე? მერე მე ისევ ვალია ბახტაძეს უნდა დაუბრუნდე, მე შემეძლო მეტკვა რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნამომკვდარმა ხალხზედ, მაგრამ რას ნიშნავს ხალხის შთაბეჭდილებაზედ ლაპარაკი ბოლშევიკურ ქვეყანაში, როცა ამან გაცილებით მეტი შთაბეჭდილება მოახდინა თვით ბოლშევიკებზედ. ისინი მიხვდნენ, რა საუწუჯ ნახეს ვალია ბახტაძის სახით და როცა ყველა ეკლესიები დუქნებდა და კლდეზედ აქციეს, როცა ყველა ეკლესიები ამოხსარეს და წაბლწვეს, როცა ციხეში ჩასვეს თვით ქათალიკოსი ამბროსი, ვალია ბახტაძის ქართულ წმინდანების კეთილმოწყვედ დატოვებას აზრი აღარ ჰქონდა და ქუთაისიდან ტფილისში გადაიყვანეს. აქ მას ქართული მწერლობა ჩააბარეს. გეზი სწორი იყო. რა უნდა წავებლწა ვალია ბახტაძეს ქართული ეკლესიის შემდეგ? რასაკვირველია ქართული მწერლობა. მაგრამ ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. იყო აგვისტოს აჯანყება, რომლის დროს ვალია ბახტაძე, ალბად, კარგად გაისარჯა და მთელი ქართველი დახვრიტა, მეც წამოვედი საქართველოდან და კარგა ხანია არ ვიცოდი, რას ფიქრობდა ეს კანონებით დამდაბლებული და სულით უმსგავსი გვაში ქართულს მწერლობაზედ!

მაგრამ აი, გახვებით გადმოვცემენ მწერლობის ყრილობის შინაარსს, რომელზედაც წვეთი შექონდა ლაპარაკი, როგორც შეეფერება ყოველ ყრილობას საბჭოთა საქართველოში, პირველი მოხსენება, რასაკვირველია, მ. ფილიპო მახარაძე გააკეთა, სადაც, ამ ხელად, მხოლოდ ამბროსის პარკზედ არ იყო ლაპარაკი, თორემ ყველაფერზედ და სიტყვა მიეცა... სიტყვა მიეცა, ბატონებო, ვალია ბახტაძეს! ვალია ბახტაძე მწერლობას ურილობაზედაც ისევე თავის ქალაებით გამოცხადდა. ამ ეამდე რუს ქალაი წმინდანების ქალანი არ იყენენ. მას ეპირა ხელში რუსთაველის და ბარათაშვილის ქალა, ურტყავდა ერთმანეთს და თან ჩაძახდა:

— სიჭკიო, მე თქვენი... თუ ბიჭები ხართ, რომ ოქტომბრის რევოლუციას არა სცნობთ!

სცნობთ თუ არა, მკითხველო, რუსთაველის და ბარათაშვილის ოქტომბრის რევოლუციას? რუსთაველის და ბარათაშვილის ქალანი სდუმდნენ. ჯერ კიდევ წმ. დავითისა და კონსტანტინეს ისტორიად ვიცი. რომ ქალანი საზოგადოდ არ ლაპარაკობენ. მაგრამ ეს ცემა-ტყემა ქართულ გენიალურ თავებისა ჩამოედნსავე დღეს ვაგრძელებ. ქართველ მწერლებს «პოლიტგრაზომა» წაუკითხეს. ეს იყო ნამდვილი ვანდალიზმი, რომელიც კი ოდესმე გამოუჩენია ტირანისა მწერლობის მიმართ. მახარაძემ მასწავლებელი უწოდა ბარათს, მაგრამ გაფუჭებულმა შეგრიდა მაინც გაკვეთილი წაუკითხა მასწავლებელს. სიბინძურე, სიბრიყვე და ბოლშევიზმიც სწორედ ეს არის..

მე სულითა და გულით თანაუგრძობ ყველა იმ პატიოსან ქართველ მწერალს, რომელიც დაქსოდა ამ ყრილობას და იძულელობი იყო ვალია ბახტაძე და ფილიპო მახარაძე მოეკლნა. ჩემთვის ექვს გარეშეა, რომ ისინი წიხლით უსმენდნენ მათ. ექვს გარეშეა, რადგანაც: ქართული მწერლობის პატიოსნება და პარტიოტობა ჩემთვის და ყველა ქართველისთვის პრეზუმცია არის. ჩვენი დიდი პარტიოტობა მისადაში, მისი დიდი ღვაწლი ჩვენსადმი გვიკარანებს, რომ ეს ასე იყო. არ შეიძლება ქართველი მწერალი რუსთაველის შარავანდელს შეუერთდეს და მერე თავისი დედა საქართველო ატყუოს. არ შეიძლება უსმინო მახარაძეს და არ გადმოაფრთხოს, კარში რომ გამოხვალ. ამიტომ მეკვა მე ქართველი მწერლობისადე, პირში კაპლი ამოსდონ და თავზედაც სხვა მერდინი დახურონ. ჩვენ მაშინაც ვეტყვით მას «არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვაშიცრობა!»

მ. ამირეჯიბი.

უნივერსიტეტებით, სკოლებით, სტამბით—ისეთი მოვლენებია ევროპის, რომელზედაც სიტყვის გავრძელება საჭირო არაა. ხელოვნების უძირდასესი ნაწარმობები ამოქმედებენ აქაურ ქუჩებს და ბაზებს, უმდიდრესი მუზეუმები ყველას აწვდიან საგანძურებს. მუსიკა და თეატრი მრავალფეროდან გაწირვნილი ავაჭიზებენ და აკეთილშობილებენ მკვიდრთა გემოვნებას, გონებას.

ერთი სიტყვით, საითქვანაც არ მიიხვდათ, ყველგან ხედავთ დიდი მუშაობის, დიდი ბრძოლის, დიდი ენერჯის ღრმა კვალს და გავლენას ადამიანის კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ტენიკურ და მატერიალურ, გონებრივ თუ ხელობრივ ცხოვრებაში.

შეიძლება ვინმემ სთქვას: ეს იყო და დღეს კი არ არის, ყველაფერი წარსულის შედეგია და აწ არა კეთდება რა. სრულებით შემცდარი იქნება ამის მთქმელი. შეიხედეთ ევროპის ტენიკურ დაწესებულებებში, ნახეთ ახალი აგებულებანი, დააკვირდით შრომის ხასიათს, შეიარეთ ლაბორატორიებში, მოუსმინეთ მეცნიერულ საზოგადოებათა კამათს, ინახულებთ სასწავლებლები, დაათვალიერეთ გამოფენები, უკური დაუგდათ ღრამბს, მუსიკა, თვლი გადაავლეთ შიგნის ბაზარს, გაეცინეთ ლიტერატურულ დისკუსიებს, ჩაუკვირდით პარლამენტების და პარტიების ბრძოლებს, მუშათა მოძრაობას, მათ სინდიკატებს—და დაარწმუნდებით, რომ დღესაც წინანდებურად ძლიერია აქ ენერჯია, დღესაც დიდათ ევროპული აზრის აღმადრეა და დაუმრეტელი წყურვილი ძიებისა და კვლევის, დღესაც ფართოდ მიიწვევს წინ აქაური შემოქმედება და შეუჩერებელია მუშაობა ადამიანის, საზოგადოების ცხოვრების ამაღლებისა და გაუმჯობესობისთვის. ასევე დაუღალავია პოლიტიკური და სოციალური მუშაობა, ეძებენ მხურვალებს, თავგამოდებით ახალ პოლიტიკურ ფორმებს როგორც შინაურ ისე სმერთაშორისა ურთიერთობაში. წინ მიდიან მხნედ და უფრო მტკიცედ დღევანდელი კაპიტალისტური წყობილების ნაცვლად ახლის აგებისაკენ, უფრო მტკიცედ, ვიდრე «კომუნისტური რუსეთის». დღეს მუშები კი არაა ევროპის, პირიქით დღეს მისი ისტორიის ერთი უცხოველეს და უდიდეს ეპოქათაგანია.

არ გვინდა სრულიად ვსთქვათ, რომ ევროპაში ყველაფერი საუცხოვლოა. არა. აქ ბევრი სიმბროტუა, სიმწარე, სადაგლობა, პირუტყვობა, მაგრამ როგორც სამართლიანად ამბობს ინდუსი პოეტი, ევროპა თვითონვე ებრძვის თავის სიყვეს და ავადმყოფობას..

ასეთია ევროპა. როგორიდა და რას წარმოადგენს რუსეთი?

რუსეთის ისტორია იწყება მისი ევროპასთან დაახლოვე-

მესამე ინტერნაციონალის ფარული ხაქმენი.

პარიზის პრესაში გამოქვეყნებულია შემოვალ წარჩლი:

«ბ-ნო რედაქტორო,

ყველა ჯგუფი კომუნისტურ პარტიისა—ჩილის, არგენტინის, ბრაზილის, შუაგულ ამერიკის და ანტილის კუნძულებისა, ურავიის და პარაგვაისა, პერუს, ვენეცუელის და კოლუმბიისა, პანამის და გვატემალისა—აცხადებენ, რომ ბოლოდელი პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს მესამე ინტერნაციონალის (საგარეო პროპაგანდის) კომისია, აშკარად უწინააღმდეგება მარქსიზმის ძველ სკოლას. თუმცა იღვიბი ღენინისა უნდა წმინდად და შეურყვევად ინახოდეს ყოველ კომუნისტის გულში, მაგრამ გატარება ამ იღვიბის არ უნდა იყოს მინდობილი რუსეთის კომ. პარტიის სექციის ეგოისტურ ხელმძღვანელობისთვის. სანამ ბ. ბ. ზონოვივი, რადიკი და კომპანია აწარმოებენ ამ პოლიტიკას, ჩვენ იძულებულნი ვართ ავირჩიოთ გზა მოსკოვიდან გამოყოფისა.

მიზეზი ჩვენი გამოყოფისა არის:

1. დიქტატურა კომუნისტურ აღმასრ. კომიტეტისა ინტერნაციონალის ყველა სამზღვარგარეთელ ორგანიზაციებზე;
2. წყარო შემოსავლისა საგარეო პროპაგანდის კომისიის საფინანსო სექციის კასაში.

შენიშვნა. ჩვენ სახეში გვაქვს პოლიტიკა ტენიკური დახმარების ყალიბი ფულის მოჭრაში ევროპის ყველა ქვეყნებში 1921—1926 წწ. საერთო ჯამი ყველა ყალიბი ფულის, მოჭრილის მოსკოვის ტენიკურ ხელმძღვანელობით, უღრის 180 მილიონ ფრანგულ ფრანკს, რომელ ჯამიდან დახარჯულია საგარეო პროპაგანდისათვის 69 მილიონი.

3. ბოროტმომქმედი პოლიტიკა, რომელიც სწარმოებს ამისთანა ნიადაგზე, უქუველად მიგვიყვანს სისხლის სამართლის დანაშაულებამდე.

არა ბანდიტიზმით კეთდება ხოლმე სოციალური რევოლუცია, ამხანაგო ზონოვივი და რადიკო.

4. სიტყვა ინდივიდუალურ ტერიტორიას, რომელიც მიღებულ იქნა 8 ანგარს საგარეო პროპაგანდის კომისიაში, მის დახურულ სხდომაზე, საესებით უწინააღმდეგება პარტიულ პროგნამას.


ყველა ეს ფაქტები ზონოვივის, რადიკის და კომპანის პოლიტიკისა აიძულებენ ყოველ პარტიოსან კომუნისტს დროებით მიინც დავიწყოს გზა, მიმავალი მოსკოვისაკენ.

ხელს აწერენ: წარმომადგენელი კომუნისტურ ორგანიზაციებისა მესამე ინტერნაციონალში:

ჩილის და არგენტინისა: ოსკარ ტოლმოდო ი გიმეს. ბრაზილისა: მანუელ გუტიერეს დე არმას. შუაგულ ამერიკის და ანტილის კუნძულებისა: მანუელ გასტიო ი რჩეს. ურავიის და პარაგვაისა: მედრო ვამპეს ი პერეს. პერუს, ვენეცუელის და კოლუმბიისა: ანტონიო სურეგო ი ვარეს. პანამის და გვატემალისა: რიკარდო გონსალეს ი არდრეგუი.»

27 მარტი 1926 წ.

ყველა ეს ხელისმოწერა გადაღებულია ფოტოგრაფიულად.



უ ს მ ი მ ი მ ე ხ ი ღ ვ ა

ც უ ს ი მ ა. მოსკოვმა იგემა ნამდვილი ცუსიმა! მას ჩინეთში ჩაუმტერვის მრჩოლავი რქები. მისი ფალავანი, ქრისტიანე-გენერალი ფენ-ი-უ-სიანი, რომელიც ვერ. წოდ. ხალხურ ჯარს უფროსობდა, სასტიკად დამარცხდა და, რომ მღერს ხელში არ ჩავარდნოდა, მონდლომისაკენ გაქაქულა.

ალყა- შემორტყმული და უსარლოთ დარჩენილი ხალხური ჯარი გადატრიალებას ახდენს პეკინში და იწვევს მარშალ უ-პეი-ფუს ძალაუფლების ხელში ასაღებათ. ვინ არის ეს უ-პეი-ფუ, ჩვენ უკვე ვიცით: ის გაუთმხანადა მანჯურისის შარხალს ჩან-სო-ლ ინს, და მათი ჯარებია სწორეთ, პეკინს რომ აწვეობდა. ეხლა მიწოლაც არაა საჭირო, რადგან პეკინი თვითონ ნებდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანტონში, მოსკოვის ამ მიუვალ სიმაგრეში, კიდევ უფრო ადრე მოხდა გადატრიალება და

ბით. რუსეთში თუ რამ იყო კარგი, მხოლოდ ის, რაც წადებულ იყო ევროპიდან და აღმოცენებული, აღზრდილი ევროპულ ნიადაგზე. რუსის მოწინავე პირთა პოლიტიკური აზრები, რუსული ხელოვნება, მეცნიერება, საზოგადოებრივი მოძრაობა—სულ დასავლეთიდან იყო. რუსეთის საუკეთესო შეილები ევროპის იღვიბით ცოცხლობდნენ და მოღვაწეობდნენ..

თუ ამგვარია მდგომარეობა—და ამის უარყოფა ფხიზად ადამიანს არ შეუძლია—მაშინ თავისთავად წყდება კითხვა, თუ ვისთან უფრო სარგვა ჩვენთვის დაახლოვება კულტურულ საქართველთა დასაკმაყოფილებლად—რუსეთთან თუ ევროპასთან? არც ერთი უკუთმყოფელი ადამიანი არ იტყობს, რომ ქართველი ერთი იკვებოდეს და სარგებლობდეს არა პირდაპირ ევროპის კულტურას, არამედ მიმართოს რუსეთის საშუალებას, რომელიც თვითონ ემყარება სხვის კულტურას.

ჩვენი წინაპრებიც კარგად ჰგონობდნენ ევროპასთან პირდაპირი კავშირის საჭიროებას. ოსმალებმა რომ ბინაშტია დაამხეს, ჩვენი ქვეყანა სრულიად მოწვედა ევროპას. მაგრამ მიუხედავად დიდი დამრკოლებისა და სინძლის მინც რამდენიმე ცდა იყო მე-XV საუკუნეშივე დასავლეთთან დაახლოვების. დღეს საქართველოსთვის არ არსებობს ეს სინძლე და ბუნებრივია, რომ რაც შეიძლება პირდაპირი მიმოსვლა იქნოს ევროპასთან, დაეწაფოს მის კულტურას და მით თავისი განავითაროს. ჩვენი სამშობლო აწაპი მდებარეობს, საქართველო აზიური მხარე, და აწის, ადმოსავლეთის კულტურა თუ უშუალოთ თუ სპარსულ-არაბების შემწეობით ჩვენს რახებაში საკმაოთაა მომგებიანობა. ჩვენ თუ ვეკალი, გვაკლია წმინდა ევროპული კულტურა მატერიალური თუ გონებრივი და მეთოდი ამ კულტურის. ეს განაყოფიერებს ჩვენს პოტენციალურ ძალას და შევცვალვბინებს მივაწყოთ სრულს განვითარებას. სულ მეტია ჩვენთვის კიდევ გააზილება თუ გავვრახილება რუსეთის დახმარებით.

ერთი შენიშვნაც: რუსეთს ასოცი წლის განმავლობაში თავის კლანჭებში ყვავით მომწყვედული, ძალით მოგვახვია თავისი ჩვეულებანი, წესები, კულტურა, დავადმყოფა ჩვენი ნება, შებორკა ჩვენი ეროვნული შემოქმედება. ჩვენი ენობის და სახის აღსადგენად აუცილებელია, მოვშორდეთ რუსეთის ნაძალადვე გავლენას და გატეხილი სული კვლავ გამოვლდეს და წელში გაიმართოს, მოიპოვოს რწმენა თავის თავის, რომელიც მოუკლა რუსეთმა, და დაიბრუნოს პატივისცემა საკუთარი მოქმედების.

ამიგად ჩვენი დევიზი უნდა იყოს: არა კარჩაკეტილობა, არამედ სრული ურთიერთობა სხვა ერებთან, მხოლოდ ურთიერთობა თავისუფალი და ყველაზე უფრო დაახლოვება იმ ქვეყნებთან, სადაც არის წყარო დღევანდელი კაპიტალიზმის საუკეთესო კულტურის. ევროპისკენ და არა რუსეთისკენ..

ს. ფირცხალავა.

ზული ადამიანი არ ფიქრობს, რომ ევროპა მართლა დაცა და იღუპება. იგივე შენეგლერი მხურვალედ მოუწოდებს გერმანელ საზღვაგზობას სამშობლოს აღორძინებისთვის, რაიც მას ახსნა. იგივე ტკბარი სწორს: «მაგრამ გადავრით აღვიარებ ევროპის მთელს სიდიადეს, ვინაიდან ევროპამ ბევრი რამ შექნა დიადი. არ შეგვიძლია მთელი ჩვენის გულით არ გვიყვარდეს იგი, არ ვიყოთ აღტაცებული მითი, რომლის ხელოვნებამ და მწერლობამ, ვით სიმშვენიერისა და სიბართლისა წყარომ. განაყოფიერეს ყველა ქვეყანა და დრო. არ შეგვიძლია არ გვიყვარდეს ევროპა, რომელიც ტიტანურის დაულოლოდობით იკვლევს სამყაროს სიღრმეთ და შეიცნობს როგორც უსაზღვროთ დიდ ისე უსაზღვროთ მცირეს. ევროპა თავის გულს და გონების მთელ ძალას ანდობებს სწენულებათა განკურნებას და ცხოვრების სიმშენეთა შემსუბუქებას, რასაც ჩვენ დღემდის უიმედო მოთმინებით ვიტანდით.» კიდევ მეორე აღავს ამბობს: «დასავლეთი მუდამ ებრძოდა თავის თავს და ამსხვრევდა იმ ბოროტს. რომელიც თვითონ დაედვა თავის უმწეო წყურებს. ეს ამტკიცებს, რომ ნამდვილი არსება ევროპისა არის არა ეგოიზმი, არამედ თავყვანისცემა უანგაროდ დიდების. და უსამართლობა იქნებოდა გვეტყვა, რომ დასავლეთმა მოხიბლა ადმოსავლეთი მარტო თავის ძალის გამოჩენით.»

დიან, ევროპის კულტურის და შემოქმედების საქმე სრულებით არაა ისე, როგორც ეს ზოგიერთს ეგონოს და უნდადეს. ყოვლის უწინარეს დღევანდელ ევროპის ცხოვრებას მეტად ნათლად ამჩნევია წარსულ დროთა დიდი მუშაობის და ბრძოლის შედეგები. ცოდნას, გამოცდილებას, ტენიკას შეგუებია ყველაფერი და ეს აადვილებს ადამიანის ფიზიკურ არსებობას, ადამიანს აბატონებს ბუნებაზე, ჰქმნის ხალსა და ფართო ცხოვრებას. რაც უნდა ბევრი იყვირონ ბოლშევიკებმა, სამოხზე დავამყარეთ მუშებისა და გლეხებისათვის, მუშისა და გლეხის ქონებრივი მდგომარეობა დღეს ევროპაში ისეთია, რომლის შესახებ ვერც კი იოცნებებს «კომუნისტური» რუსეთის გლეხი და მუშა.

ასევე აღბეჭდილია დიდი წარსულის კვალი საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. გაიხსენეთ ევროპის ბრძოლები საუკუნეთა სივრცეზე სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, ეროვნული უფლებებისთვის. ადამიანის პიროვნება, მისი ზნეობრივი ღირებულება, თავისუფლება, ხელშეუხებლობა ყველას ძველ და რბილში აქვს გამოქვადი და ამის დაცვა ისევე აუცილებელია ევროპიელისთვის, როგორც საქმელი და სასმელი. სოციალური გარდაქმნის საჭიროება მორიგი საკითხია. ეს რამეც გაუპირებული შეგებია იქნება აქ, არამედ ცხოვრების სინამდვილის აშკარად ცნებულად და განიხილავს დასკვნას, გასუქებული მრავალი წლის იდეათა ბრძოლით და დულელით. სწავლა-განათლების გავრცელება, გაყოველთათვისება, მისი ტრადიციების განმტკიცება საუკუნეებით არსებულ

\*) მეტად თვალსაჩინო იყო ამ მხრივ მხატვრული მრწველოლის საერთაშორისო შარშანდელი გამოფენა პარიზში.

იქ მოპარაჟე კომუნისტები, მათ შორის რუსებიც, დაატყვევებენ და ახრებენ თუ განდევნიან. ცნობების, კანტონი ურბანებისა და აქ კი ინგლისის ბანაკი.

ცხადია, დიდი სახელმწიფოებრივი აქტიურობის ჩაერყობა იქნება ან მან ნათელი ჩაერყობა იქნება. რა აერყობდა მათ — ჩვენ ვამბობთ იპოზიტივს, ინგლისზე, ამერიკაზე — ეს იყო ბოლოშევიცურ ანარქიის ჩინი. სულ სხვა საკითხია, როგორ მოურყვიდნენ ისინი ჩინის. ან უკეთეს — შესძლებს თუ არა უკანასკნელი თავი დააღწიოს მათ ოპოზიციას.

რუსეთი გამოირჩევიდა ამ კომბინაციიდან. პირველი ცუსიმის შედეგი ის იყო, რომ მან დაპყრობა პორ-არტურის და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. მეორე ცუსიმის შედეგი ის იქნება, რომ მოსკოვი იძულებული გახდება მოგერიების ტაქტიკის დადგენის თავის საკუთარ სახლგანაირში. მილიტარიზმი უკვე უსწრებს ამ მომავალს და აცხადებს: საშიშ მომავალში იქნება არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთის რეინის გზა (მანჯურიის), არამედ რუსეთის მთელი შორეული აღმოსავლეთი.

ესეა ჰკითხეთ ყარახანს ბეინში! თითის ვითა კურდული, კანი წვის.

ერთი მემორანდუმი. «ტაიში» აქვეყნებს «რუსეთის ნაფთის ექსპორტზე» მემორანდუმს, რომელიც ეკუთვნის მისტერ ტვიდს, რუსეთის კრედიტორ-ინგლისელთა საზოგადოების თავმჯდომარეს. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ბაქოზე და გროზნაზე, რომელსაც ავანაჟურად დაეპატრონა მოსკოვი.

ამ მოკლეთ მემორანდუმის შინაარსი: ბევრს ეგონა, რომ რუსეთის ნაფთი ერთგვარ მეთოდებას გასწევს ინგლისის ბაზარზე, მაგრამ სინამდვილემ არ გაამართლა ეს. თუ ომის წინ, მაგ. 1911-13 წ. რუსეთს ამოქონდა მიწიდან 9 მილიონ ტონა ნაფთი წელიწადში, 1925 წ. მან ამოიღო მხოლოდ 7 მილიონ ტონა ე. ი. 2 მილიონით ნაკლები. სამაგიეროდ, თუ ომის წინ რუსეთს გაჰქონდა საზღვარ გარეთ, საშუალო რიცხვით, 700 ათასი ტონა წელიწადში, 1925 წ. მან გაიტანა მილიონ სამასი ათასი ტონა ე. ი. 600 ათასით მეტი. აქედან შემდეგი დასკვნები უნდა გავკეთდეს: 1) გააქვს მეთი ნაფთი გარეთ, მაშინ როდესაც თითონ ნაკლები ამოაქვს მიწიდან და მით დაუკმაყოფილებლათ სტოვებს საკუთარ მრეწველობის მინიმალურ მოთხოვნილებას ამ ძვირფას საგანზე; 2) რუსეთის მრეწველობამ რომ მიაღწიოს წინანდელ დონეს, ან კიდევ გადაცილებს მას, მისთვის საჭირო იქნება ნაფთის გარედან შემოტანა; 3) თუ უცხო ვალიუტა არ იქნა, რუსეთის არ შეუძლია ნაფთის მრეწველობისთვის საჭირო იარაღები შემოიტანოს გარედან, ეს კი მოასწავებს მრეწველობის უკანსვლას და არა წინ; 4) ევროპის მრეწველობა ზოგიერთი წრების იმედი-დაემყარონ მომავლისთვის რუსეთის ნაფთის ექსპორტზე, ამიტომ საფუძველს მოკლებულია.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ როგორი ჩინი ამოუყვია თავი «რუსეთის» ნაფთის მრეწველობას. მოსკოვი არ ძალუძს არ გაიტანოს ნაფთი წივი, რაც უნდა შიმშილი მოკავრდეს სწორედ მასზე წინ, — მას ეჭვირება ვალიუტა... კომპარტის და გეპეუს შესანახათ.

არ გასურა. არ გასურა მოსკოვის დემოკრატია. განიარაღების წინასწარი კომისია შეიკრიბება 18 მაისს ეკენავში და არა შევიცარიის გარეთ, როგორც ამას მოითხოვდა მოსკოვი. უკანასკნელი ამ კონფერენციულ დასწრებას დამოკიდებულად ხდის იმისგან, თუ ის მოხდებოდა სწორედ შევიცარიის გარეთ.

ამას წინ უძღოდა მოლაპარაკება ბერნისა და მოსკოვის მთავრობათა შორის, ფრაგმენტის არაოფიციალური ჩარევით. და ამ ცდამ უშედეგოტ ჩაირა.

მოსკოვი მოითხოვდა ბერნისგან ბოდიშის მოხდას მის წინაშე ვაროვის შევიცარიის ტერიტორიაზე მოკვლის გამო, ლონანის კონფერენციის დროს, და უარი მიიღო. შევიცარიის მთავრობამ მწყობრად განმთქვა თავის დროზე თვით ვაროვის ქვირის წინაშე, ისე ესეც იმეორებდა ამას, მაგრამ ბოდიშის მოხდა დაუშვებლათ მიანდა, რადგან ამით თავის თავი უნდა გამოეცხადებინა მას პასუხისმგებლად.

ინივითა სიმტკიცე და მისაბამი ტაქტი გამოიჩინა შევიცარიამ ამ დავის დროს, ის მზათ იყო ერთა ლიგის რეზიდენციის სხვაგან გადატანასაც კი შეირებოდა. ოლონდ თავისი პატავმეყვარობა შეუღალველი შეერჩინა.

მოსკოვიც თავის აზრს შერჩა, ის უარს აცხადებს მონაწილეობაზე, თუმცა მას მიეცა სრული გარანტია ბერნისაგან, რომ მისი დელეგატები იმავე დიპლომატიური პრივილეგიებით ისარგებლებდნენ, როგორცაც დანარჩენი დელეგატები. ეს ფაქტი საუკეთესო ხდის მოსკოვის გულწრფელობას განიარაღების კითხვაში. აქი განაცხადა ვაროვილოვმა, რომ წითელი არმიის დანიშნულება «პატივალისვის» დედა-მიწის პირიდან აღგვაა... აღმათ როცა კრედიტებს მიიღებს მისგან.

კრემლის მედრევენი რომ ქამები არიან, ეს კი ვიცოდით, მაგრამ გვეგონა, ამ თვისებას მსოფლიოს წინაშე არ გამოაფენენ. ისიც კი დაივიწყეს, რომ ბევრი მათ შორის და «ილირიც» შევიცარიის სტუმართმეყვარობით სარგებლობდნენ ათეული წლები. და სწორედ მათ მოისურვეს მისი დაჯანდება. ერთა ლიგა და მასში წარმოდგენილი 50 ნაცია შევიცარიას ამოუდგა გვერდში, მათ არ მოისურვეს მისი პატავმეყვარობის შელახვა.

კონვენციის განახლება. პოლონეთმა და რუმინიამ კიდევ 1921 წ. დასდეს ურთიერთ შორის სამხედრო კონვენცია, რომლის ძალით თვითეული ვალდებულება იღებდა დანებარება მთელის თავის შეიარაღებული ძალებით მეორეს, თუ მას თავს დაესხმოდა მესამე სახელმწიფო. ვინ იგულისხმებოდა ამ მესამე სახელმწიფოთ, თავის თავთ მისახვედრია, თუ გადაათვალიერებთ რუქას. ვინაიდან კონვენციის ვადა 5 წლით იყო განსაზღვრული, ის კარგავდა ძალას წრეულს. მოსკოვი ბევრს ცდილობდა, წელზე ფეხს იდგამდა, რომ ჩაეშალა მისი განახლება.

ამათ. პოლონეთმა და რუმინიამ განახლეს კიდევ 5 წლით სამხედრო კონვენცია და მით ამხილეს თავისი გადაწყვეტილება საერთო ძალით მოიერიონ მომხდომი. მოსკოვის მიეცა მეთი საბუთი ესეც... ჩემბერლენს გადაბარალს, თუმცა ცხადზე უცხადესია, რომ კონვენციის წმინდა თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს, და არავინ ფიქრობს მასზე თავდასხმას, თუ თვითონ დაეტყვა თავის ქერქში.

8 საათის სამუშაო დღე. უკვე მერვე წელია, რაც ვაშინგტონის კონვენცია მიიღეს და ჯერაც არ არის იგი ძალაში შესული. 1919 წ. როცა ვერსალის ხელშეკრულება დასდეს და ერთა ლიგის სტატუტი დამტკიცეს, ამ უკანასკნელში საპატიო ალავი დაიკრო შორის საერთაშორისო მოწესრიგებამ. ლიგის სულის ჩამდგმელმა ვილსონმა მოისურვა შორის პირველი საერთაშორისო კონფერენცია ვაშინგტონში მომხდარიყო, და იქ დაიწერა სწორედ კონვენცია. უკანასკნელის ძალაში შესვლისთვის საჭირო იყო მისი რატიფიკაცია. ხალხი ამას თვითეული სახელმწიფო დამოკიდებულად ხდის იმისგან, თუ სხვა სახელმწიფოებმა ამავე ნაბიჯს გადადგამდნენ.

დიდ მნიშვნელობას აწერენ ამიტომ 15-18 მარტს ლონ-

დონში მომხდარ კონფერენციას, რომელზედაც მონაწილეობდნენ შორის მინისტრები ევროპის 5 უმთავრეს სამრეწველო ქვეყნისა: ინგლისისა, გერმანიისა, ბელგიისა, საფრანგეთისა და იტალიისა. კონფერენციას დასწრო აგრეთვე ალბერ თომა, საერთაშორისო შორის ბიუროს დირექტორი.

კონფერენციის მონაწილენი ზოგადთ მხარს უჭერდნენ ვაშინგტონის კონვენციას, მაგრამ მის მთავარ მუხლებს სხვა და სხვანაირად განმარტავდნენ, — საჭირო იყო მათსადამე, ერთნაირი და ყვეალსათვის სავალდებულო განმარტება, და ამას კიდევ მიალწიეს.

ამ რიგათ, 8 საათის სამუშაო დღე, ანუ კვირაში 48 საათი საყოველთაო წესად არის აღიარებული მრეწველობაში (სოფლის მეურნეობაზე არ ვრცელდება). სამუშაო დღე ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაში მუშა პატრონის განკარგულებაშია, დასვენება არ შედის მასში. ისეთ დარგებში, სადაც მუშაობა შეუწყვერელი ხდება, შეიღლება 56 საათის შემოღება კვირაში, მაგრამ ამ შემთხვევაში მუშას უნდა აუნაზღაურდეს ეს მეტი 8 საათი შევებულების დროზე მითვლით. პრესის დარგში და რესტორანებში მიღებულია 56 საათი და ნაწილდება 7 დღეზე თანაწორათ. დამატებითი საათები დაშვებულია, მაგრამ ამისთვის მუშას ხელფასის 25 პროც. მეტი უნდა ეძლიოს. ომის ან სხვა რამე საერთო უბედურების დროს 8 საათის სამუშაო დღის წესი შეიძლება შეჩერებული იქნას.

აი, უმთავრესი მუხლები, რაზედაც შეთანხმდნენ ლონდონში. ესეა უკვე არაფერი უდგას წინ ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციას ევროპის სახელმწიფოების მიერ ამ ახლო მომავალში.

«დამოუკიდებელი საქართველო»	
ხელისმომწერეთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ., ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში — ერთის წლით 25 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ.	
საბჭოთა საქართველოში.	

ხუთი წლის თავზე. ბოლოშევიცებმა საქართველოს დაპყრობის ხუთი წლის თავი იტლისასწაულეს. ეს იყო დღე-სასწაული რუსული წითელი არმიის გამარჯვებისა ქართველ ხალხზე, მაგრამ ბოლოშევიცის მიერ მას ქართველი ხალხის გამარჯვება ეძახის. რაზედაც ვიხედ? ელიავამ ვრცელი და «დასაბუთებელი» მოხსენება წაიკითხა. რასაკვირველია ლაპარაკი იყო ბოლოშევიცურ «მეღწევებზე». გასაცარი რამ არის, საზოგადოთ, ბოლოშევიცური მოხსენება. ისა პავს ძირ გავარდნის ქოთანს. სტენენ და სტენენ ბოლოშევიცები მას «მეღწევებით». მაგრამ როცა მოხსენებას დასვენებს უკეთებენ, გამოდის, რომ «მეღწევები» სადაც გაპარულან. ელიავამ ილაპარაკა ელექტროფიკაციანზე, კოპერაციანზე, მრეწველობაზე, მეურნეობაზე და ბიუჯეტზე და ბევრი ქება-დიდება შემდეგ უნდა გამოტეხილიყო, რომ არც ერთ ამ დარგში არაფერი არ გაუკეთებიათ. ელიავა მინც თავს ინუგეშებს. «მე ვფიქრობ, — ამბობს ის — ხუთი წლის შემდეგ ჩვენ სულ სხვანაირი მოხსენებას გავაკეთებთ. ჩვენ გვექნება სულ სხვანაირი ციფრები...»

თუ ღმერთს უნდა, რომ ხუთი წლის შემდეგ ისევე თქვენ გააკეთათ მოხსენება, ე. ელიავა, ჩვენც მაშინ გავარჩევთ თქვენს მეღწევებს. ესეა კი თქვენი ელექტროფიკაცია არ ანათებს, თქვენი კოპერაცია ფლანდრია, თქვენი მრეწველობა განადგურებულია, თქვენი მეურნეობა გაპარტახებულია და თქვენი ბიუჯეტი მოსკოვის დოტაციისგან შესდგება. ხუთი წლის შემდეგ უარესი იქნება. ხუთი წლის შემდეგ რუსეთი თქვენ ამ დოტაციასაც აღარ მოგცემთ...

«როგორ იყო...?» ბ. ელიავამ ილაპარაკა რას მიაღწია საბჭოთა საქართველომ. ესეა ყური დაუგდით მეორე ბოლოშევიცს, როგორ მიაღწიეს ბოლოშევიცებმა საქართველოს განსაზღვრებას. თუმცა ხუთი წელიწადი დიდი არაფერია, მაგრამ ბოლოშევიცები მემუარების წერას უკვე შეუდგნენ. მემუარებს სწერს სხვათა შორის ბ. თოდრია. «1921 წელს თერთმეტ თებერვალს დამით დაიწყო ბოლოშევიცური აჯანყება ლორის რაიონის სოფელ უზუნღარში... ამბობს თოდრია. თოდრია არ ამბობს მხოლოდ, რომ უზუნღარა სომხური სოფელია. კარაბ... მაგრამ აქი ქართველი ხალხი აჯანყდა, ბ-ნ ბოლოშევიცებო? გასაბჭოების დასაწყისი ხომ ნახეთ! ესეა ყური დაუგდით იმავე თოდრიას, რითი გათავდა უზუნღარის აჯანყება. სცენა წარმოადგენს 25 თებერვალს, ტფილისში, თავისუფლების მოედანზე: «სათოს პირველი იქნებოდა, მოგვითხრობს ბ. თოდრია, როცა ქალაქის სამმართველოს შენობამ ძიგბიგი დაიწყო. მის წინ მოედანზე მოხრობინდნენ ტანკები, უკან მოჰყვით მწყობრათ დარაზმული ამხანაგები და წითელი ჯარი სომხებით. თქმა არ უნდა, ეს შენობის «ძიგბიგი», ტანკების «მოხრობინდნენ» და წითელი ჯარის და ამხანაგების «სიმღერები» — შედეგია ბოლოშევიც თოდრიას აღმწერლობითი ნიჟისა. მაგრამ ბოლოშევიც, თუნდაც ნიჟიერი, რის ბოლოშევიცია. თუ თალღობა არ გასწია. ზევით ხომ ვახეთ როგორ დაძალა თოდრიამ, რომ უზუნღარა სომხები აჯანყდნენ. ესეა მაღალს იმას, რომ ტანკები და წითელი ჯარი რუსული იყო. ამ რიგად სომხური აჯანყება, რუსული ჯარის შემოსევა! როგორ შეხვდა ამას თოდრია? «მათს დანახანზედ მოშვებით ამოვიღებთქო», განავრძობს იმავე ნიჟიერზედ ბ. თოდრია. თოდრია ამისი უნტქა. საქართველომ სული დალია!.. ასე მურტლად იცინა წერა ბ-ნ თოდრიებმა. მაგრამ დადგება დღე და საქართველოც ამოისუნთქებს! თქვენ რალს იხავთ მისი «მომწევები», ბ-ნ თოდრია...»

რა იქნება? «როგორ იყო...?» ხომ ნახეთ, ბ. თოდრიას მოგონებდგან. ესეა ყური დაუგდეთ ბ-ნ ტროცკის წინასწარმეტყველებას, რა იქნება? საქართველოს კურორტების შესანაწესებამ ცვლიდნენ, (რადიჯევი იყო რომ გააუდეს იქ) ყოფილმა ვაჟინგტონმა ტროცკიმ საქართველოზედ სიტყვა წარმოხატეა, რომელიც ასე გაათავა: «ამხანაგებო, მსოფლიო ბურჟუაზიას აქვს ასეთი მარგალიტები. იქ არის ბუნებით დაჯილდოებული კუთხეები, პატარა ქვეყნები, სადაც თავს იყრის მთელი ქვეყნის არისტოკრატია, როგორც მაგ. მონაკოში. საქართველო აქვს უფლება და შესაძლებლობა ვახდეს ასეთ მშვენიერ კუთხედ მუშებისა და გლეხებისათვის... შეიძლება ეს მოხდეს არა ათის, არამედ ოცი წლის შემდეგ. მაგრამ ეს მოხდება!» აღსანიშნავია, რომ ტროცკი მეტ პესიმისს იჩენს ვიდრე ელიავა. როგორც ვახსოვთ, ელიავა მხოლოდ ხუთ წელიწადს ითხოვს, რომ საქართველო სამოთხეს დაემსგავსოს. მაგრამ ჩვენ პესიმისტ ტროცკისაც ისევე უნდა უმაღლოდეთ, როგორც ოპტიმისტ ელიავას. მან აშკარად თქვა, რატომ დაიპყრო წითელმა რუსეთმა საქართველო, აი, თერამე რისთვის უნდათ ბოლოშევიცებს საქართველო! ძირს ბურჟუაზიული მონაკო, გაუმარჯოს ბოლოშევიცურ მონაკოს. — გაუმარჯოს რუსეთსაც! აქ, სულ უკანასკნელი, ბ-ნ თოდრიას აღმწერლობით ნიჟი მინც არის საჭირო, წარმოვიგინოთ, რა იქნება მაგალითად, აბსლუტურად სხვანაირი თუ ათის არა, ოცი წლის შემდეგ მინც. არც ერთი ქლექიანი და პირიქით მხოლოდ ნა-

სუქი ბოლოშევიცები. კრუპის ადგილას ზის ჩვენი «დიდი» რენეგატი ვანო კახუნაშვილი, ზინოვივი ჩაშვილი «მცირე გვირგვინი» მოჰყვით ბოლოშევიცების. ელიავა უბრაულებს საქართველოს ქათალიკოსების დიდი გვირგვინი... წაიბიძგო... სტენენ, არც ნაკლები თხუთმეტი გვირგვინი... ბოლოშევიცური და თვალმარგალიტი კიდევ სხვა. ზინოვივი... მარტო რამე ქათალიკოსებზედ ჩამოვარდა და ფილიპე მახარაძის თერთმეტოთახს ვანიტ და ტელეფონით. ჩამოდიან მთელ ერთიტაცს, მთელ გელათის მონასტერს, იგებენ, აგებენ, «პროლეტარიატი» ილიმება, «გლეხობა» მხიარულს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ბუნდირია!

საბჭოთა არჩევნები. თუ საქართველოს გაბედიერებს ხუთი წელიწადი აკლია, როგორც ამბობს ელიავა, თუ მისი ბოლოშევიცურ კანონად გადატკევის მხოლოდ ოცი, რომელიც ოცნებობს ტროცკი, «კომუნისტის» ერთი სუფორი გვიამბობს რამდენი უკლია საბჭოთა სახელმწიფოში არჩევნების შემოღებას. აქ საქმე ისე უნდაგეგმოს, რომ თქმასაც ვერავინ ბედავს, რომ არჩევნები ორმოცი წლის შემდეგ მაინც მოვა. საბჭოთა კანონმდებლობა ამის შესახებ როგორღაც სდუმს. უწინ, ევრედ წოდებულ სამხედრო კომუნისტის დროს საკითხი ადვილად სწყდებოდა. შელადადნენ ამომრჩეველებს დარბაზში, წარუდგინდნენ მხასიას და თანხმობას არავინ გვითხავდა. ემბდნენ მხოლოდ წინააღმდეგებს, რომ ჩეკაში წაეყვანათ. არჩევნების სისტემაში ერთგვარი წარმატება განვიღო. ესეა ამომრჩეველებს უფლება ეძლევათ საკუთარი სისის შედგენის... მაგრამ მარტო შედგენის. ხმა მიიხც მთავრობის კანდიდატს უნდა მისცე. ასეთ არჩევნებს ავეიწერს სწორედ «კომუნისტი»: «სოფ. კვინჩას კომისიის მიერ წარდგენილი სია კრებამ არ მიიღო და წამოაყენა ახალი სია. მიუხედავთ იმისა რომ ასეთი წესი სავსებით დასაშვებია, კომისიამ არ მიიღო და მის მიერ წარმოდგენილი სით ჩატარა არჩევნები.»

მაგრამ საქმე არც ეს არის. «კომისიის მიერ დასახელებული კანდიდატები — განავრძობს კორესპონდენტი — სასწავლებლის იავინდგან გადმოჰყურებდნენ ამომრჩეველებს და ამ რიგად ბევრი იძულებული იყო თავი დაეტყრა მათ წინააღმდეგ ხმის მიცემისათვის.»

ესე იგი ყველამ «აივანზედ გადმომდგარ კანდიდატებს» მისცა ხმა. ჩვენ ექვიც არა გვაქვს, რომ ყველა ამ კანდიდატს წელზედ მაუხური ეკიდა. საბჭოთა არჩევნების სისტემაში მაუხური სულ უბრალო ნიშნაი კანდიდატის არა კანდიდატისადაც გასარჩევად.

მიანსიკოვი, მოგილევსკი და ათაბეგოვი. ბოლოშევიცურის კლასიფიკაციით აღმინი შემდეგი ასაკიდან შესდგება: აღმინი რომ იხადავს, ის ჯერ არაფერია და უნდა დაირქვას სახელად ნინელ, ორჯონიკი, ფილიპს, მიცხაკ, ბუდიონა და სხვა ამ გვარი. ეს არის, ასე ვსთქვათ, უეიდურესად ინდივიდუალური ხანა აღმინისა. 6-7 წლიდან იწყობა კოლექტივისტური ხანა. ამ ასაკში ბოლოშევიცურ კაცობრიობას «პიონირი» ჰქვია. რა გამოვა აქედან: ნებშილი, თუ ჩეკისტი, ჯერ კაცმა არ იცის. ამას მოსდევს «კომსოლოვის» ასაკი, ხანა უკვე პასუხსავები. კომსოლოებს შეუძლიანთ ქურდობა, ლოთობა, მებაობა და რევოლუციის ტარება. ეახინან საერთოდ «კომუნის ეყვილებს». ამას მოჰყვება «ახალგაზდა ლენინელოს» ასაკი და შემდეგ იწყება ასაკი წმინდა ბოლოშევიცური, ანუ პარტიკლის. მთელი ეს შენობა გვირგვინდება იმით, რასაც ბოლოშევიცები «რევოლუციის ბელადებს» ეძახიან. ამ ბელადებსა და ახლად დაბადებულ ბავშვებს შორის განსხვავება არავითარია, რადგანაც ამათუც ლენინი, მისა ცხატა, ფილიპე მახარაძე, ორჯონიკი, ბუდიონი და სხვა ამგვარი სახელები ჰქვიათ. მაგრამ არის თუ არა ეს ასაკი უკანასკნელი? არა! «რევოლუციის ბელადის» ასაკს მოსდევს კიდევ ერთი ასაკი, რომელსაც სახელად ჰქვია «მახლასი» «მანლასი!» ეს ის ასაკია, როცა ბოლოშევიცის ან ტენი უთხელებდა, ან აეროპლანზედ უნდა დაიწვას.

«ახალგაზდა ლენინელთა» ასაკის ყრილობაზე ტფილისში, ერთმა მურტუკმა (ახალგაზდა ლენინელმა) ასე გაულნატყვანთ მებრძოთა კრების: «ამხანაგებო! მემოვე ყრილობის შემდეგ ჩვენმა პარტიამ დაკარგა გამოზრმული მებრძოლები, სახელღვანი კომუნარები: ფრუნზე, მიანსიკოვი, ათაბეგოვი, ნარინდაოვი, მოგილევსკი და სხვები...»

ახალგაზდა ლენინელთა, ამხანაგე დარახველიძე! ყველა ეს «გამობრმული მებრძოლები» და «სახელოვანი კომუნარები» ქართველი ხალხის მტრები იყვნენ. განსაკუთრებით დიდი მტრები იყვნენ ქართველი ხალხის: მიანსიკოვი, მოგილევსკი და ათაბეგოვი. მათ დაღვრენ იმდენი ქართველი სისლი, რომ ქართველ ხალხს მხოლოდ გულხარა და მთი სიკვდილი-რას იხავთ, სულ ხომ ქართველ ხალხს არ უნდა ხვრეტადნენ. მაგრამ არის ერთი შედავათი, ქართველ ხალხს ჩეკის ჯურღმულეში ხოცადენენ. თქვენი სახელოვანი კომუნარები სუფთა პავრზედ დაიხოცნენ. რუ თუ ეს მინც არ არის თქვენთვის პატარა ნუგეში? დავეიჯერეთ...»

ჩვენი გახეთი საქართველოში. ვაშა! «დამოუკიდებელი საქართველო» უკვე ჩასულა საქართველოში... ნათქვამია, საბჭოთა რომ შეწყდეს, ხელი მოითბო. რა უნდა ჰქნას «კომუნისტმა», თუ ჩვენი გახეთი უკვე მოვლო მთიხველს. მეტი რა დარჩენია რომ ხელიც არ მოითბოს და კრიტიკას გვიწევს. «კომუნისტსა» ჰგონია, რომ ფრანგი მანდილოსანი, რომელმაც უყვირა საბჭოთა ელჩს: «ძირს კრასინი, გაუმარჯოს საქართველოს!» უთოოდ კაფეშანტანის დამა იყო. კრასინს უყვირა მთელმა საზოგადოებამ. ესთქვათ მთელი საზოგადოებაც მარტო კაფეშანტანის დამებისგან შესდგებოდა. რა უნდოდა მაშინ იქ «მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის» ელჩს? ესთქვათ, ისიც რომ კრასინი რასტაკურთა, ყველგან დაევტეებდა და უმთავრესად კაფეშანტანის დამების საზოგადოებაში. მაგრამ რა უნდოდა ამ საზოგადოებაში ქალბატონ კრასინას და მის ორ გასათხოვარ ქალიშვილს? ეს პარტიკუმული მანდილოსნები კი სწორედ იქ ბრძანდებოდნენ. ვინ არის ესეა კაფეშანტანის დამა და ვილა არ არის კაფეშანტანის დამა? ჰქვიანო პოლიბოპს, შენ გასაჯე!

ქართველ გემო გერმანიამ.

თებერვლის 25-ს შესდგა ბერლინის ქართველთა კოლონიის საზოგადო კრება თფილისის დაცემის დღის მნიშვნელობის აღსანიშნავათ. კრების განხილვისათვის თევჯდ. მოადგილე დ. სალირაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც დაახასიათა ქართველი ერის ბრძოლის ეტაპები დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ. სიტყვებში წარმოსთქვენს აგრეთვე ბ. ტ. მარგველიანისა, მ. მუსლუქიძის, ბ. ირემაშვილის, რ. მკურნალმა და სს. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც კრება მიესალმება რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს.

Redaction et Administration :  
M. J. GOBETCHIA  
18, rue des Acacias, Paris.

Le Gérant : LARGILIÈRE.